**პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების**
**განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს**

**სხდომის ოქმი № 1**

ქ. თბილისი 21.01.2020

სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
**თამაზ ბახტაძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
**მარიკა ზაქარეიშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს მდივანი);
**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი;
**ქრისტინე მეფარიშვილი** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
**ნინო ტალიაშვილი** - დამოუკიდებელი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი;
**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი;
**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
**ხატია ცირამუა** - სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის სამმართველოს უფროსი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

მადონა მიქელაძე - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი

მამუკა გოგელია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი

ირმა ღარიბაშვილი - დარგის ექსპერტი

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტი:**

ქეთევან ჯანელიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ სხდომას ესწრებოდა საბჭოს 9 წევრი და გამოაცხადა, რომ ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - „შრომის უსაფრთხოების დაცვა იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას" - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - „შრომის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას" - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამების - „შრომის უსაფრთხოების დაცვა იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას“ და „შრომის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას“ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს ჰკითხა, იცნობდნენ თუ არა ექსპერტების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს.

პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ დასკვნები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ. მან საბჭოს მოახსენა, რომ ვიზიტი ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2019 წლის 17 და 18 დეკემბერს. მისი თქმით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა პროფესიული გადამზადების ორი პროგრამა: „შრომის უსაფრთხოების დაცვა იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას“ და „შრომის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას“. როგორც ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, სანამ განხორციელდებოდა ვიზიტი და გაირკვეოდა, თუ როგორ მოხდა აღნიშნული პროგრამების შემუშავება და რა დოკუმენტებთან იყო ეს ყველაფერი დაკავშირებული, კითხვები ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, სარისკო ხომ არ იყო ამ პროგრამების შემუშავება მომართვიანობის თვალსაზრისით, თუმცა მოგვიანებით, საკითხის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ აღნიშნული პროგრამები მომზადდა ისეთი მსხვილი სამშენებლო კომპანიების დაკვეთით, როგორიცაა შპს „ანაგი“, შპს „დინიდეველოპმენტი“, შპს „მაურერი“, შპს „გუმბათი“, შპს „ჰიჰი მენეჯმენტი“, შპს „ჯეობილდინგი“ და ა.შ.

როგორც ექსპერტმა განაცხადა, დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც წინ უძღვოდა პროგრამების შემუშავებას, რომლის ფარგლებშიც შეხვდა სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს და გამოიკვეთა, რომ ყველა გამოკითხულ დაინტერესებულ ორგანიზაციას ესაჭიროება მშენებლობებზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების გადამზადება, რადგან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ერთჯერადად ჩატარებული ინსტრუქტაჟი, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ რეალური კომპეტენცია შეიძინონ ამ დასაქმებულმა პირებმა, რის გამოც ხშირია ობიექტებზე კრიტიკული შემთხვევები. გამომდინარე აქედან, პირდაპირი დაკვეთა იყო აღნიშნული ორგანიზაციების მიერ, რომ მოხდეს მათი თანამშრომლების გადამზადება ამ მიმართულებით. კვლების შედეგის მიხედვით, ყველა კომპანიისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მათი დასაქმებულები იცნობდნენ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესებს. დაწესებულებაც თვლის, რომ მისი, როგორც სახელმწიფო სასწავლებლის როლი, ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით.

როგორც ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, იგი იმყოფებოდა ერთ-ერთ პარტნიორ ორგანიზიაციაში, ზემოთ აღნიშნული კომპანიებიდან ერთ-ერთში, კერძოდ, შპს „ანაგში“, სადაც მოწყობილია

სპეციალური სივრცე, რომელიც აღჭურვილია პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა ინვენტარით.

ქეთევან ჯანელიძის თქმით, ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა პროგრამების განხორციელებისთვის, დაწესებულებას მოწესრიგებული ჰქონდა. შეკითხვები გაჩნდა მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, რომ ვიზიტის დროისთვის არ არსებობდა უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებული შენობის მდგრადობის დასკვნა, თუმცა უკვე ჩატარებული იყო ტენდერი და დაწესებულებას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება პირთან, რომელსაც ვალდებულება ჰქონდა, გაეკეთებინა აღნიშნული დასკვნა. ხელშეკრულების მიხედვით, დასკვნის ვადა ჯერ არ იყო ამოწურული და მოგვიანებით, ვადის დაცვით იგი წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ. სახანძრო უსაფრთხოების მხრივ, შემოწმებულ იქნა ის დასკვნა, რაც საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ იქნა წარმოდგენილი და სადაც გაწერილი იყო, თუ რისი გაკეთება იყო საჭირო ეტაპობრივად დაწესებულების მხრიდან. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ყველა ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული აქვს დაწესებულებას. რაც შეეხება სამედიცინო უსაფრთხოებას, დაწესებულებას აქვს დაწვრილებით გაწერილი დებულება. პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ყველანაირი აღჭურვილობა ადგილზე იყო და დოკუმენტებიც მოწესრიგებული იყო როგორც უნივერსიტეტში, ასევე პარტნიორ ორგანიზაციაში.

ქეთევან ჯანელიძის თქმით, ვიზიტის დროს შესაბამისი აქტივობების განხორციელებისა და შეფასების შედეგად, ხარვეზი პროფესიული გადამზადების არცერთ პროგრამაში არ გამოვლენილა. ექსპერტმა დაწესებულებას ორივე პროგრამისთვის მისცა ანალოგიური რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ დაკონკრეტდეს პროფესიული გადამზადების პროგრამებზე - „შრომის უსაფრთხოების დაცვა იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას“ და „შრომის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას“ - დაშვების წინაპირობები. კერძოდ, პროგრამებზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულია „სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება“, რაც ზოგადი ჩანაწერია და უნდა დაკონკრეტდეს, რადგან ამის მიხედვით, დასაშვებია, რომ პროგრამაზე ჩაირიცხოს პირი, რომელიც შესაძლებელია არ იყოს იატაკისა და ფილის სამუშაოების ან სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობის სპეციალისტი, არამედ იყოს, ვთქვათ, გაჯის სპეციალისტი ან დურგალი. ამ შემთხვევაში პროგრამა ვეღარ შეასრულებს გადამზადების ფუნქციას, რადგან ასეთ პირს არ ექნება გამოცდილება და ცოდნა იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულების ან სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობის მიმართულებით;
- რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგები, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთს ჰგავს და ერთმანეთს ფარავს, გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი შედეგის სახით;
- რეკომენდებულია, გასწორდეს ერთ-ერთი სწავლის შედეგის ფორმულირება: „საიზოლაციო სამუშაოების წარმოება უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების დაცვით“, რადგან სამშენებლო ეთიკის ნორმების დაცვა მხოლოდ საიზოლაციო სამუშაოებს არ ეხება.

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტს. როგორც დასკვნაშია ნახსენები, პროგრამების მომზადება ინიცირებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა იგულისხმება სიტყვა „ინიცირებაში“ - საერთაშორისო პრაქტიკა არის გათვალისწინებული, GIZ-ის მიერ შემუშავებული მოდულის საფუძველზე მოხდა აღნიშნული პროგრამების შემუშავება თუ სხვა რამ? ამასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორმა მადონა მიქელაძემ. მისი თქმით, უნივერსიტეტი მჭიდროდ

თანამშრომლობს GIZ-თან. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი წლების განმავლობაში ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა ზემოაღნიშნული გადამზადების პროგრამების შემუშავების გამოცდილება მას არ აქვს და გამომდინარე იქიდან, რომ შრომის უსაფრთხოების საკითხი საკმაოდ სპეციფიკურია, როდესაც დაწესებულებამ დაინახა აღნიშნული პროგრამების შემუშავების საჭიროება, მიმართა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას და მისი დახმარებით მოხდა პროგრამების შემუშავება. მადონა მიქელაძემ აღნიშნა, რომ უცხოელ ექსპერტებთან ერთად დაწესებულებას დიდი დახმარება გაუწია დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა. როგორც ამ უკანასკნელმა განმარტა, პროგრამების შემუშავებაში ასევე ჩართული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი და შედეგად, ისინი შემუშავებულია ქართულ მარეგულირებელ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და შეთავაზებულია გერმანული გამოცდილება.

საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა, როგორ ჩამოყალიბდა ზემოთ აღნიშნული გადამზადების პროგრამების სახელწოდებები. ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ სახელწოდებები ჩამოყალიბდა დამსაქმებლების სურვილიდან გამომდინარე. მისი თქმით, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამსაქმებლებთან და ეს გულისხმობს არა მხოლოდ კითხვარებს, არამედ პირად შეხვედრებს მათთან, ჩატარებულ იქნა ინტერვიუირებაც და ამის შედეგად გამოიკვეთა, რომ სწორედ ამ კონკრეტული პროგრამებით არიან დაინტერესებულები და სურთ, რომ მათთან დასაქმებულმა პირებმა სწორედ ეს პროგრამები გაიარონ. მადონა მიქელაძემ დაამატა, რომ აჭარის რეგიონში მოქმედ თითქმის ყველა სამშენებლო კომპანიასთან გაიარეს ეს საკითხი.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ შეცდომაში შემყვანი რომ არ იყოს აღნიშნული პროგრამების განხორციელება და სახელწოდება იმ ადამიანებისთვის, ვინც მათ გაივლის და არ ჰქონდეთ მოლოდინი, რომ ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის თანამდებობაზე დასაქმდებიან, დაწესებულება ვალდებულია, განუმარტოს თავის მსმენელებს, რომ ისინი აკრედიტებული პროგრამის მსგავს პროგრამას არ გაივლიან და ვერ დასაქმდებიან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის თანამდებობაზე გადამზადების პროგრამების სერტიფიკატით. მართალია, ეს სერტიფიკატები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, თუმცა ცხადია, აკრედიტებული პროგრამის ჩანაცვლება ამით ვერ მოხდება. აღნიშნული გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზანი არის ის, რომ ორგანიზაციებში გარკვეული კულტურა დაამკვიდროს შრომის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით და შეცვალოს ამ მიმართულებით ცნობიერება, იმისათვის, რომ თითოეულ მუშას თუ მენეჯერს სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თვალსაზრისით. რაც უფრო მეტი ადამიანი გადამზადდება მსგავსი პროგრამებით და შეიცვლება მათი ცნობიერება, მით უფრო მეტად გაუმარტივდება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს მათთან თანამშრომლობა. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, სასურველია, პროგრამების დასახელებაც შესაბამისად იყოს ფორმულირებული.

ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა სახანძრო უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტით და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა მდგომარეობა არის ამ ეტაპისთვის ამ კუთხით. მადონა მიქელაძემ უპასუხა, რომ დაწესებულებას აქვს სახანძრო უსაფრთხოების სრული დოკუმენტაცია და გაწერილია გეგმა, თუ როდის რა უნდა გაკეთდეს. ქეთევან ჯანელიძემ დაადასტურა, რომ ყველა რეკომენდაცია, რომელიც საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ იყო წარმოდგენილი, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს.

ნინო ტალიაშვილი ასევე დაინტერესდა, თუ როგორ ახორციელებს დაწესებულება მსმენელთა შერჩევას. ხარისხის მართვის მენეჯერის, მამუკა გოგელიას თქმით, მსმენელთა შერჩევა ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების მიხედვით. საბჭოს წევრი ჩაეკითხა, თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მსმენელთა მიღებისა და შეფასების პროცედურები გაწერილია უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებულ „პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების წესში“ და სწორედ იმ კრიტერიუმების მიხედვით ხელმძღვანელობენ.

საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა, ზემოხსენებული სამშენებლო კომპანიები დაახლოებით რამდენი პირის გადამზადებას გეგმავენ მათთან. მადონა მიქელაძემ აღნიშნა, რომ შპს „ანაგი“ 700 ადამიანის გადამზადებას გეგმავს ამ ეტაპისთვის და ელოდება დაწესებულების მიერ აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებას. საბჭოს წევრმა იკითხა, რამდენად საკმარისია ამდენი ადამიანის გადამზადებისთვის ადამიანური რესურსი, რაზეც ქეთევან ჯანელიძემ უპასუხა, რომ თითო პროგრამას ჰყავს 6 განმახორციელებელი პირი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები და ვინაიდან პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს, ადამიანური რესურსიც ასეა დაკომპლექტებული. ექსპერტის თქმით, მატერიალური რესურსისა და აუდიტორიების თვალსაზრისით, დაწესებულება კიდევ უფრო მეტი ადამიანის გადამზადებას შეძლებს, თუმცა ამ ეტაპისთვის ადამიანური რესურსი არ იძლევა მეტის გადამზადების საშუალებას, ამიტომ იმის მიუხედავად, რომ სხვა სამშენებლო კომპანიებიც გამოთქვამენ დასაქმებული პირების გადამზადების სურვილს, ამ ეტაპისთვის ეს შეუძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მადლობა გამოთქვა ყველა მხარის მიმართ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული პროგრამების შემუშავებაში. მისი თქმით, იგი თავიდანვე იყო ჩართული შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის რეფორმის პროცესში და იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მხოლოდ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (რომელიც კანონმდებლობით სავალდებულოა ჰყავდეს ყველა კომპანიას) არ არის საკმარისი შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის გამოსწორებისა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებისთვის. თუმცა შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანულმა კანონმა დაავალდებულა კომპანიები, დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე, ერთი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი მაინც ჰყავდეთ, რომელსაც გავლილი ექნება აკრედიტებული პროგრამა და შემდეგ ეს პირი იღებს ვალდებულებას ჩაუტაროს შესაბამისი ტრენინგი და ინსტრუქტაჟი სხვა დასაქმებულებს. გამომდინარე იქიდან, რომ ისეთი მსხვილი კომპანიისთვის, როგორიცაა შპს „ანაგი“, მასთან დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ინსტრუქტაჟი არ არის საკმარისი და სჭირდება დასაქმებული პირების დამატებით გადამზადება ამ მიმართულებით, უჩნდება კითხვა, გარკვეული ხარვეზები ხომ არ აქვს ამ აკრედიტებულ პროგრამას? ქეთევან ჯანელიძემ უპასუხა, რომ იგი უფრო პროცესის ადმინისტრირებაში ხედავს პრობლემას. მისი აზრით, მხოლოდ დაბალი რგოლისთვის არ უნდა ხდებოდეს ეს ყველაფერი და თუნდაც ორკვირიანი კურსი საჭიროა ზედა რგოლისთვისაც, თუმცა საწარმოების ტოპ მენეჯმენტი ვერ ხვდება ამ საჭიროებას. დარგის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშილმა, მარიამ ქუჩულორიას განუმარტა, რომ სამშენებლო სამუშაოები იმდენად მძიმე და საფრთხის მომცველი სამუშაოებია, რომ შრომის უსაფრთხოების ერთი კარგი სპეციალისტი, თუნდაც ისეთი, რომელმაც აღნიშნული აკრედიტებული პროგრამა გაიარა, არ არის საკმარისი და გაჩნდა დამატებითი გადამზადების საჭიროება. ირმა ღარიბაშვილის თქმით, შპს „ანაგის“ ხელმძღვანელობა შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხს ძალიან სერიოზულად ეკიდება და ზრუნავს ამ მიმართულებით, აქვს საშუალო და მაღალი დონის მენეჯერების გადამზადების სურვილიც, თუმცა ყველაზე მეტად ეს მაინც ეხება მუშა პერსონალს, რადგან ყველაზე მეტად სწორედ ისინი იმყოფებიან რისკის ქვეშ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ნიშნით იქნა შერჩეული ზემოთ ხსენებული ორი პროგრამა, რაზეც ირმა ღარიბაშვილმა უპასუხა, რომ იმ პერიოდში, როდესაც შპს „ანაგთან“ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, სწორედ აღნიშნული მიმართულებით ახორციელებდნენ მასიურად ობიექტებზე სამუშაოებს და შესაბამისად, სჭირდებოდათ ამ სამუშაოების შემსრულებელი პირების გადამზადება. თუმცა, ამ ეტაპისთვის კომპანიამ უკვე სხვა მიმართულებითაც დაიწყო სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, სამოცსართულიანი სახლის მშენებლობა, უახლოეს მომავალში კი გეგმავენ ხუთი მაღალსართულიანი კომპლექსის აშენებას. ირმა ღარიბაშვილის თქმით, სიმაღლესთან დაკავშირებული, რკინაბეტონისა და არმატურის სამუშაოები, მანქანა-მექანიზმები და ა.შ. ძალიან მძიმე სამუშაოებია და მიიჩნევს, რომ სწორი მიდგომაა კომპანიის მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ასე ექცევა ყურადღება შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხებს.

მადონა მიქელაძემ აღნიშნა, რომ მართალია, ამ ეტაპისთვის სურვილი აქვთ, აღნიშნული ორი პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვონ, თუმცა ისინი აგრძელებენ კვლევებს და შეხვედრებს სამშენებლო კომპანიებთან და კვლევის შედეგებისა და გასაუბრებების მიხედვით გამოიკვეთება, თუ რა მიმართულებით შეიძლება იფიქრონ სხვა პროგრამების შემუშავებაზეც.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, იქნება თუ არა პროგრამებზე მსმენელთა მისაღებად კონკურსი დახურული, რადგან კონკრეტული სამშენებლო კომპანიების დაკვეთით მოხდა პროგრამების შემუშავება და ამ ეტაპისთვის მხოლოდ ერთი აპირებს დასაქმებული პირების გადამზადებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კონკურსი იქნება დახურული. ამის შემდეგ საბჭოს წევრმა მათ ჰკითხა, აპირებენ თუ არა ისინი სამშენებლო კომპანიის მიერ წარმოდგენილი ყველა მსმენელის მიღებას. აქვე ნინო ტალიაშვილმა კვლავ დასვა კითხვა მსმენელთა შერჩევასა და შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების წესი“ ძალიან ზოგადია და ვერსად ნახა კრიტერიუმი, თუ როგორ ფასდება გასაუბრების დროს პირი და რამდენია გამსვლელი ქულა. ქეთევან ჯანელიძემ განმარტება გააკეთა, რომ ზოგადად აქვს დაწესებულებას მსმენელთა შერჩევის წესი, თუმცა, ვინაიდან ეს იყო შპს „ანაგის“ დაკვეთა, მსმენელთა შერჩევას არ ექნება ამ შემთხვევაში კონკურსის სახე და სამშენებლო კომპანია თავად წარმოადგენს ეტაპობრივად იმ პირთა სიას, ვინც უნდა გადამზადდეს. ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა, აპირებს თუ არა დაწესებულება მიიღოს კომპანიის მიერ წარმოდგენილი ყველა პირი უპირობოდ, რაზეც ქეთევან ჯანელიძემ უპასუხა, რომ იმ შემთხვევაში თუ პირი დააკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და წარმოდგენილი იქნება ცნობა იმის თაობაზე, რომ არის შესაბამისი მიმართულების სპეციალისტი, მიიღებენ. მადონა მიქელაძემ დაამატა, რომ როგორც კი პროგრამის განხორციელებას დაიწყებენ, დაწესებულებასა და კომპანიას შორის გაფორმდება კონკრეტული ხელშეკრულება და სწორედ იქ გაიწერება დეტალებიც.

დამატებითი კითხვები საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ. გადაწყვეტილების მიღების დროს მათ წარმოდგენილი პროგრამების სახელწოდებებთან დაკავშირებით იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ უმჯობესია, ისინი არ იყოს შეცდომაში შემყვანი, არ იყოს ასოცირებული შრომის უსაფრთხოების აკრედიტებულ პროგრამასთან და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას უსაფრთხოების წესების დაცვა“ და „სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას უსაფრთხოების წესების დაცვა“.

საბჭოს თავმჯდომარემ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - „იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას

უსაფრთხოების წესების დაცვა“ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის კენჭისყრა გამოაცხადა.

აღნიშნული პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებისა და პროგრამაზე ერთჯერადად 20 მსმენელის მიღების საკითხზე ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს ქვემოთ მოცემული პროფესიული გადამზადების პროგრამა:

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00360 | იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას უსაფრთხოების წესების დაცვა | გადამზადება | 2 | 8 | ქართული | 20 | ბათუმი, ფიროსმანის ქ. N1ა |

საბჭოს თავმჯდომარემ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - „სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას უსაფრთხოების წესების დაცვა“ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის კენჭისყრა გამოაცხადა.

აღნიშნული პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებისა და პროგრამაზე ერთჯერადად 20 მსმენელის მიღების საკითხზე ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს ქვემოთ მოცემული პროფესიული გადამზადების პროგრამა:

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00359 | სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას უსაფრთხოების წესების დაცვა | გადამზადება | 2 | 8 | ქართული | 20 | ბათუმი, ფიროსმანის ქ. N1ა |

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ 17:35 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მარიამ ქუჩულორია

სხდომის მდივანი
მარიკა ზაქარეიშვილი